გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №139

2022 წლის 20 ივლისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2022 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

გორის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან იგეგმება 2022 წელს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც საჭიროებს საკრებულოს მხრიდან მოწონებას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობების და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გორის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტები თანდართული დანართი N1 (ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტი

დანართი N 1

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ ხელთუბანში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	
2	სოფელ შინდისში გმირების მემორიალთან მისასვლილი გზის რეაბილიტაცია	
3	სოფელ შერთულში მიმსასვლელი გზის რეაბილიტაცია	

გორის მუნიციპალიტეტის მერი

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი